საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№509 2020 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიორგი 2017-ისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №751 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიორგი 2017-ისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №751 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარება/განაშენიანება (რაც მოიცავს (მაგრამ

შესაძლებელია, არ შემოიფარგლებოდეს) სამედიცინო დაწესებულების შექმნასა და ფუნქციონირების დაწყებას).“.

2. ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, შპს „გიორგი 2017-მა“ (ს/კ: 406223769) წარადგინოს არანაკლებ 143 485 (ას ორმოცდასამი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც განსაზღვრული იქნება არანაკლებ 2022 წლის 31 ოქტომბრისა და რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიორგი 2017-ისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №751 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულებას (მათ შორის, მისი შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „გიორგი 2017-ს“ შორის 2018 წლის 29 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 5.2 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**